

## ტიბეტი

დიაკონი ანდრეი კურაევი

ტიბეტში, ერთ-ერთ ბუდისტურ მონასტრეში ახალგაზრდა ადამიანი მივიდა. მან გარკვეული დროის განმავლობაში შეისწავლა ბუდისტური ფილოსოფია, მედიტაციების ტექნიკა, რიტუალები, იკონოგრაფია და ა.შ. შემდეგ დადგა ის მომენტი, როდესაც წინამძღვარმა დაიბარა იგი კელიაში და უთხრა: „არჩევანის გაკეთების დრო დადგა, მონასტერში მცხოვრებლებს რაც შეგვეძლო ყველაფერი მოგეცით, მაგრამ ეხლა შენ თუ გინდა რომ სულიერად კიდევ უფრო გაიზარდო, უნდა იპოვო წინამძღვარი ღმერთების სამყაროდან, ამიტომ ახლა წადი კელიაში, განმარტოვდი და აირჩიე შენთვის იმ 10000 ღვთაებიდან ერთ-ერთი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვარს, შემდეგ გამოიძახე ეს ღვთაება და იქნებ იგი გახდეს შენი მფარველი“. ეს ჭაბუკი განმარტოვდება, რამდენიმე თვის განმავლობაში ატარებს მედიტაციებს და ცდილობს წარმოიდგინოს ის ღვთაება, რომელიც აირჩია და რომელიც უნდა, რომ მისი მფარველი გახდეს და ლოცულობს მისდამი, ამის შემდეგ ამ ადამიანის გარშემო სიტუაცია რადიკალურად იცვლება. მას ჯერ სიტყვები ესმის, შემდეგ სილუეტებს ხედავს, შემდეგ შუეს ხედავს და ა.შ. და ბოლოს იგი ნახულობს ამ ღვთაებას. შემდეგ იწყება დიალოგი ამ ღვთაებასთან. ამ ყველაფრის შემდეგ, ეს ადამიანი მიდის წინამძღვართან და ეუბნება: „რაც დამავალე ყველაფერი გავაკეთე და აღსრულდა კიდევ რასაც მეუბნებოდით, აი ახლა არც ვიცი შენ ხედავ თუ არა, მაგრამ ის ღვთაება, რომელიც ავირჩიე ჩემს ზურგს უკან დგას.“ წინამძღვარი ეუბნება: „ძალიან კარგია, რომ ასე მოხდა, ახლა წადი და განმარტოვდი სადმე მთაზე შენს მფარველთან ერთად და გააგრძელე ლოცვა და მედიტაციები“. მაგრამ სხვანაირი სიტუაციაც ყოფილა. ერთ-ერთი ყმანვილი, რომელმაც გაიარა ის კურსი, რომელიც წინამძღვარმა დაავალა, მიდის შემდეგ მასთან და ეუბნება: რომ იგი ერთი უნდა დაბრუნდეს, წინამძღვარი ეკითხება, თუ რატომ გადანყვიტა მან ასე, ყმანვილი პასუხობს, რომ მას არ შეუძლია მონოზენობა, წინამძღვარი კვლავ ეკითხება, თუ საიდან მიხვდა იგი ამას, რომ არ შეუძლია მონოზენობა, პასუხი: მე არ ვარ მონოდებული მონოზენობისათვის. კითხვა: რა იცი რომ არ ხარ მონოდებული? არც ერთი ღვთაება არ გამომეცხადა და დავასკვნენი, რომ მე არ ვარ მონოდებული მონოზენობისათვის. ილოცე? კი. გამოიძახე ღვთაება? კი. მედიტაციათა ეტექნიკა გამოიყენე? კი. და რა არავინ მოვიდა? არა. მაგრამ მოიცა ერთი წუთი, ხმები გესმოდა? ჩვენებები გქონდა? კი, ხმებიც ჩამესმოდა და ხილვებსაც ვნახულობდი. კი მაგრამ როგორღა ამბობ რომ არ გამომეცხადა ღვთაებაო? და ყმანვილი პასუხობს, „იცი მასწავლებელი, მე მქონდა ჩვენებები და ხმები მესმოდა, მაგრამ ჯანსაღი განსჯის შემდეგ, მე მივხვდი რომ ეს მხოლოდ ჩემი ცნობიერების წარმონაშობია. მე ძალიან მინდოდა ამ სულის გამოძახება და ამის შედეგად, საკუთარი სურვილისა და ცნობიერების ტყვეობაში აღმოვჩნდი“ და ყმანვილი მოემზადა ნასასვლელად, დაემშვიდობა წინამძღვარს და როდესაც კელიიდან გადიოდა, მას გაეკიდა მასწავლებელი და უთხრა: „მოიცადე ერთი წუთი, შენ ერთადერთი ხარ, რომელიც ჭეშმარიტებას ჩასწვდი, რადგან ყველა ღვთაება, მართლაც, მხოლოდ ჩვენი ცნობიერების ნაყოფნი, ჩვენი ცნობიერებიდან წარმოშობილნი არიან, ამიტომ შენ არ ნახვიდე, რადგან ჩემს შემდეგ, შენ იქნები აქ წინამძღვარი და მასწავლებელი, იმ სულელებმა კიდევ გააგრძელონ მთებში ლოცვა, თავიანთი გამოგონილი და მოჩვენებითი ღვთაებების წინაშე.“

ალექსანდრა დევიდ ნილი.

თარგმნილია მამა ანდრეი კურაევის ვიდეო ლექციებიდან

წყარო- [www.youtube.com](http://www.youtube.com)

მომზადდა იოანე შოშიაშვილმა